

ფინანსური ანგარიშგებები

1. ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	433,289	213,032	530,745
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	436,311	399,077	289,694
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	222,026	-	-
მარაგები	141,352	166,829	226,255
სხვა	141,352	166,829	226,255
სხვა მოკლევადიანი აქტივები	9,515	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	23,276	15,208	8,007
ძირითადი საშუალებები	5,680,571	4,455,620	4,081,410
სულ აქტივები	6,946,340	5,249,766	5,136,111
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	433,161	222,385	183,425
საგადასახადო ვალდებულებები	9,933	138,607	183,891
გამოუმუშავებელი შემოსავალი	2,828,356	2,338,222	2,045,520
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2,032,445	586,780	594,977
სულ ვალდებულებები	5,303,895	3,285,994	3,007,813
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1,853,250	2,037,139	2,018,439
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(210,805)	(73,367)	109,859
სულ საკუთარი კაპიტალი	1,642,445	1,963,772	2,128,298
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6,946,340	5,249,766	5,136,111
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,010,952	778,879	1,046,694
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,242,916	2,699,214	2,412,836

დირექტორი

ამირან ამბროლაძე

2. საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	8,637,575	6,959,449
მომსახურების გაწევიდან	8,435,714	6,959,449
სხვა	201,861	-
საერთო მოგება	8,637,575	6,959,449
დასაქმებულთა ანაზღაურება	(4,837,883)	(4,158,386)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(634,176)	(553,109)
საპროცენტო შემოსავალი	14,733	19,652
საპროცენტო ხარჯი	(76,770)	(35,703)
იჯარის ხარჯი	(724,576)	(626,333)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(2,126,045)	(1,832,167)
სულ საოპერაციო ხარჯები	(8,384,717)	(7,186,046)
საოპერაციო მოგება	252,858	(226,597)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(390,387)	43,371
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდ განგრძობითი ოპერაციებიდან	(137,529)	(183,226)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(137,529)	(183,226)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(137,529)	(183,226)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,963,772	2,128,298
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(191,898)	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	8,100	18,700
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,642,445	1,963,772

დირექტორი:

ამირან ამბროლაძე

3. ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	220,257	(317,713)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	220,257	(317,713)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	213,032	530,745
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	433,289	213,032

დირექტორი:

ამირან ამბროლაძე

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
ფინანსური ანგარიშგებები და ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
ფინანსური ანგარიშგებები და ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2017 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზიგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405 234 438.

კომპანიის წილის მფლობელები 2024 წლის 31 დეკემბრისთვის არიან:

- 15% - ამირან ამბროლაძე
- 6% - ვახტანგ ლეჟავა
- 49% - სააქციო საზოგადოება „თავისუფალი აკადემიის ჯგუფი“
- 30% - არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ცოდნის ფონდი“

კომპანიის ძირითადად საქმიანობას წარმოადგენს განათლების მომსახურება.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის მსს ფასის შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია მინდინარე შენიშვნაში ქვემოთ, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა - ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დამფუძნებლებს არ აქვთ გამიზნული კომპანიის საქმიანობის შეჩერება, და კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას არანაკლებ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

საანგარიშგებო ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
ფინანსური ანგარიშგებები და ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის

შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების

დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების

მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს რეალური ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების რეალური ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება

„რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შეძენაზე. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული გადახდილი ავანსები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების დ ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებით სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
ფინანსური ანგარიშგებები და ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი

შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის მიღების და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, იმის მიუხედავად თუ როდის მოხდება თანხის მიღება. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის პირობების გათვალისწინებით, გადასახადების თუ ბაჟის გარეშე. კომპანიამ დაადგინა, რომ ის არის პრინციპალი ყველა შემოსავლის ხელშეკრულებაში, რადგან ის არის მთავარი მოვალე, აქვს ფასის ცვლილების შესაძლებლობა და ასევე ექვემდებარება მარაგების და საკრედიტო რისკს.

ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

აქტივი დაბრუნების უფლებით და ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება

კომპანია ცალკე წარადგენს აქტივს დაბრუნების უფლებით, რომელიც წარმოადგენს იმ პროდუქციის თვითღირებულებას, რომლის დაბრუნებაც მოსალოდნელია მყიდველის მიერ, ხოლო ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულება შეფასებულია მის სარეალიზაციო ფასად.

სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
ფინანსური ანგარიშგებები და ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

- ა) მავორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და
- ბ) არამავორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

მარაგების გაუფასურება

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
ფინანსური ანგარიშგებები და ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	433,289	213,032
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	433,289	213,032

ფული და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების რეზერვი შექმნილი არ არის მათი მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე.

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
ფინანსური ანგარიშგებები და ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის

5. ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	3,531,252	1,011,582	4,542,834
შემოსავალი	610,602	316,717	927,319
გასავალი	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	4,141,855	1,328,299	5,470,153
შემოსავალი	1,520,048	313,996	1,834,044
გასავალი	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	5,661,902	1,642,295	7,304,197
დაგროვილი ცვეთა			
2022 წლის 31 დეკემბერი	228,653	232,771	461,424
წლის ცვეთა	281,136	271,973	553,109
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	509,789	504,744	1,014,533
წლის ცვეთა	333,270	275,823	609,093
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	843,059	780,567	1,623,626
საბალანსო ღირებულება			
2022 წლის 31 დეკემბერი	3,302,599	778,811	4,081,410
2023 წლის 31 დეკემბერი	3,632,065	823,555	4,455,620
2024 წლის 31 დეკემბერი	4,818,843	861,728	5,680,571

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
ფინანსური ანგარიშგებები და ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის

6. ამონაგები

კომპანიის ამონაგები 2024 და 2023 წლების მდგომარეობით შედგება შემოსავლები სასწავლო/საგანმანათლებლო საქმიანობიდან.

7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

კომპანიის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2024 და 2023 წლების მდგომარეობით შემდეგია:

	2024 წ.	2023 წ.
წარმომადგენლობითი ხარჯი	62,588	20,057
ექსკურსია/დონისძიებასთან დაკავშირებული ხარჯი	12,160	46,606
კომუნალურის ხარჯი	179,355	151,297
კომუნიკაციის ხარჯი	48,971	11,325
დასუფთავების, სანიტარული ხარჯი	96,894	71,732
კომპიუტერის ხარჯები	40,932	20,188
ფინანსური მომსახურება	67,968	67,968
სწავლა/ტრენინგის ხარჯი	45,594	32,773
სამეურნეო ხარჯი	18,100	11,694
სხვადასხვა სასწავლო ხარჯი	34,930	334,338
საკანცელარიო ხარჯი	20,950	1,276
რეკლამა-მარკეტინგის ხარჯი	53,886	54,177
საბანკო მომსახურების საკომისიო	5,285	5,818
კვების/პროდუქტების ხარჯები	594,336	491,652
ფორმის ხარჯი	100,541	54,312
ქონების გადასახადის ხარჯი	50,557	42,682
ზამთარ ზაფხულის სკოლების ხარჯი	193,298	235,095
სხვახარჯები	499,702	179,177
სულ	2,126,045	1,832,167

8. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 853 ათას ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით-2 037 ათასი ლარი. 2024 წლის განმავლობაში კომპანიის კაპიტალი შემცირებულია 184 ათასი ლარით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი მინიმალურია, რადგან კომპანიის სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები შედგება დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებისგან ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში.

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
 ფინანსური ანგარიშგებები და ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრისთვის

9. დაკავშირებული მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან ფიზიკური პირი ამირან ამბროლაძე, დამფუძნებელი და დირექტორი.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები წარმოდგენილია ქვემოთ:

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ურთიერთობა		ბალანსი	ბალანსი
მიღებული სესხები		609137	564826
ამირან ამბროლაძე	დამფუძნებელი, დირექტორი	609137	564826

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	433,289	213,032	530,745
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	436,311	399,077	289,694
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	222,026	-	-
მარაგები	141,352	166,829	226,255
სხვა	141,352	166,829	226,255
სხვა მოკლევადიანი აქტივები	9,515	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	23,276	15,208	8,007
ძირითადი საშუალებები	5,680,571	4,455,620	4,081,410
სულ აქტივები	6,946,340	5,249,766	5,136,111
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	433,161	222,385	183,425
საგადასახადო ვალდებულებები	9,933	138,607	183,891
გამოუმუშავებელი შემოსავალი	2,828,356	2,338,222	2,045,520
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2,032,445	586,780	594,977
სულ ვალდებულებები	5,303,895	3,285,994	3,007,813
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1,853,250	2,037,139	2,018,439
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(210,805)	(73,367)	109,859
სულ საკუთარი კაპიტალი	1,642,445	1,963,772	2,128,298
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6,946,340	5,249,766	5,136,111
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,010,952	778,879	1,046,694
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,242,916	2,699,214	2,412,836

დირექტორი




ამირან ამბროლაძე

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	8,637,575	6,959,449
მომსახურების გაწევიდან	8,435,714	6,959,449
სხვა	201,861	-
საერთო მოგება	8,637,575	6,959,449
დასაქმებულთა ანაზღაურება	(4,837,883)	(4,158,386)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(634,176)	(553,109)
საპროცენტო შემოსავალი	14,733	19,652
საპროცენტო ხარჯი	(76,770)	(35,703)
იჯარის ხარჯი	(724,576)	(626,333)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(2,126,045)	(1,832,167)
სულ საოპერაციო ხარჯები	(8,384,717)	(7,186,046)
საოპერაციო მოგება	252,858	(226,597)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(390,387)	43,371
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		
განგრძობითი ოპერაციებიდან	(137,529)	(183,226)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(137,529)	(183,226)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(137,529)	(183,226)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,963,772	2,128,298
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(191,898)	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	8,100	18,700
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,642,445	1,963,772

დირექტორი



ამირან ამბროლაძე

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	220,257	(317,713)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	220,257	(317,713)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	213,032	530,745
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	433,289	213,032

დირექტორი



ამირან ამბროლაძე